ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

განკარგულება:**g-37.37211123**
თარიღი:**22/04/2021**

განკარგულება N23
22 აპრილი 2021 წელი

ქალაქ ოზურგეთის დრამატული თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ უსახელო სკვერისთვის - „არსენ კეჭაყმაძის სახელობის სკვერი“-ს სახელის მისანიჭებლად - გარდაცვალების ვადის შეზღუდვიდან გამომდინარე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 24-ე მუხლის 1 -ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ ოზურგეთის დრამატული თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ უსახელო სკვერისთვის - „არსენ კეჭაყმაძის სახელობის სკვერი“-ს სახელის მისანიჭებლად - გარდაცვალების ვადის შეზღუდვიდან გამომდინარე, სახელდებისათვის განსაზღვრულ 20 წლიანი ვადის შემცირების მიზნით, დაშვებული იქნას გამონაკლისი.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ. №14).

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი